სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 25 მაისის № 113/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ივნისის № 51/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი „15“ ივლისი 2023 წ.

15[00] საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია № 232

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5-ვე წევრი:

1. რუსუდან ასათიანი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თინათინ ბოლქვაძე – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ზურაბ ბარათაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი (კომისიის მდივანი);
4. მერაბ ნაჭყებია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. მარინე ივანიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, რუსუდან ასათიანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – ივანე ლეჟავამ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობით დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ივანე ლეჟავამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის წლების განმავლობაში ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს - თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, რა წვლილი შეუტანია და რისი შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში (განსაკუთრებით, ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკასა და ფონოლოგიაში). ეს დაწვრილებით ჩანს „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“ (დანართი №4)

ივანე ლეჟავას აქტიურობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის საქმიანობისათვის. უპირველეს ყოვლისა, ის ხელმძღვანელობს ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიას, რომელიც ერთადერთია საქართველოს თანამედროვე საენათმეცნიერო სივრცეში ფონეტიკა-ფონოლოგიის როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული კვლევის გასავითარებლად; მნიშვნელოვანია ამ ლაბორატორიის განსაკუთრებული როლი ენათმეცნიერების გამოყენებითი ასპექტების გააქტიურებაში. ამასთანავე, კონკურსანტი არის ენათმეცნიერ-ქართველოლოგთა შორის საერთაშორისო მასშტაბით მეტად ავტორიტეტული ჟურნალის, „ენათმეცნიერების საკითხების", მთავარი ორგანიზატორი და რედაქტორი. მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების გამო სტუდენტებისათვის ერთ-ერთი პატივსაცემი და საყვარელი ლექტორია.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი სიახლეების ძიება და პოტენციალი დინამიკაში ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. საკონკურსო ანკეტაში მითითებული 22 ნაშრომიდან 4 მონოგრაფიაა, 11 ადგილობრივ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალშია დაბეჭდილი, 1 საზღვარგარეთ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში, 1 ადგილობრივ საერთაშორისო ჟურნალში, 2 თეზისი ადგილობრივ და 3 საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, უცხოური ენების ფლობის დონით და თავისი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს შეუძლია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცნობა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გამოლოლისა. მისი მიზანდასახულობა და სამეცნიერო-კვლევითი გეგმა ეთანადება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. არის გამოცდილი კადრი ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებებით, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის უნივერსიტეტის

სამომავლო განვითარების გარანტია. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს (ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ივანე ლეჟავას კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა"კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა ივანე ლეჟავა;
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /რუსუდან ასათიანი/

მოადგილე: /თინათინ ბოლქვაძე/

წევრები: /მერაბ ნაჭყებია/

/მარინე ივანიშვილი/

კომისიის მდივანი: /ზურაბ ბარათაშვილი/

თარიღი: 15/07/2023